

**ვალდებულებათა ცალმხრივი გაქვითვის  
მოწესრიგება ქართულ სამართალში**

რუსუდან როგავა\*

**1. შესავალი**

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ერთ-ერთი აღიარებული ფორმაა.<sup>1</sup> გაქვითვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ ვალდებულებათა შესრულების ვადის დადგომისას – კრედიტორს, როგორც წესი, ყოველთვის სურს, მის მიმართ ვალდებულება შესრულდეს და არა გაიქვითოს. მოვალისთვის კი, ეს არის შესაძლებლობა, ერთი მხრივ, შეასრულოს ვალდებულება, ხოლო მეორე მხრივ, დაიკმაყოფილოს თავისი საპირისპირო მოთხოვნა გაქვითვის გზით, მოთხოვნის სასამართლო გზით დაყენების გარეშე. შესაბამისად, აღიარებულია, რომ ვალდებულებათა გაქვითვას აქვს შესრულებისა და აღსრულების ფუნქცია.<sup>2</sup>

გაქვითვის სამართლებრივ შინაარსთან დაკავშირებით, ერთმანეთისგან განსხვავდება ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემათა დოქტრინა და პრაქტიკა.

პარალელურად, ერთმანეთს არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გაქვითვის წესები და საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, *ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისთვის შეტყობინებით*. აღნიშნული ნიშნავს, რომ სსკ-ის 50-ე, 51.1. მუხლების შესაბამისად ვალდებულების გაქვითვა ცალმხრივია,

---

\* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

<sup>1</sup> *Scherer, Maxi*, Set-off in International Arbitration, Austrian yearbook of international Arbitration 2015, Vienna, 451. მაგალითისთვის: იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეზე 2/6092-11.

<sup>2</sup> *კროპჰოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა 2011, §387, ველი 1.

მიღება სავალდებულო ნების გამოვლენაა და იგი ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც ის მეორე მხარეს მიუვა.

თავის მხრივ, უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, გაქვითვისთვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება, ხოლო თუ მეორე მხარე აღნიშნულზე არ თანხმდება, საპირისპირო მოთხოვნის გაქვითვისთვის აუცილებელია მისი სასამართლო წესით, შეგებებული სარჩელის მეშვეობით მოთხოვნა და მხოლოდ შემდეგ, პროცესუალური გზით ხდება გაქვითვა და იგი სამართლებრივ შედეგს წარმოშობს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.<sup>3</sup>

გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, საპირისპირო ვალდებულებაზე გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა, ვინაიდან იგი შეწყვეტილად სწორედ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ითვლება.<sup>4</sup>

შესაბამისად, ერთი მხრივ, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, გაქვითვა მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტია. ხოლო დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, გაქვითვის მომენტად სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დღეს მიიჩნევს და შესაბამისად, მას პროცესუალურ მექანიზმად აღიქვამს.

ამასთან, მიუხედავად იმისა, გაქვითვა მიჩნეული იქნება უფლების დაცვის პროცესუალურ თუ მატერიალურ მექანიზმად, ქართული სასამართლო პრაქტიკით, საპროცესო სამართლებრივად, გაქვითვის შესახებ გაცხადება ნამდვილია და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში. ამ თავისებურებით ქართული მიდგომა განსხვავდება როგორც საერთო სამართლის, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში არსებული წესისგან, სადაც, როგორც წესი, გაქვითვის გაცხადება ხდება აღნიშნულის შესაგებელში მითითებით.<sup>5</sup>

ნაშრომი უპირველესად აყალიბებს ინგლისური და კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემათა მიდგომებს, ასევე უნიფიცირებული სამართლის გადაწყვეტას გაქვითვის

---

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილებები: ას-761-817-2011; ას-495-469-2011; ას-915-1222-07.

<sup>4</sup> მაგალითისთვის, შეად.: თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 10 ივლისი 2015, გადაწყვეტილება საქმეზე №2/22222-14.

<sup>5</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 20-21.

ინსტიტუტთან დაკავშირებით. ქართულ სამართალში არსებული პრობლემატიკის საილუსტრაციოდ, ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებული გაქვითვის ინსტიტუტი, სასამართლო პრაქტიკა და ევროპის ქვეყნებისა და უნიფიცირებულ სამართალთან მისი შესაბამისობა.

### 1. გაქვითვის წესი და ვალდებულების შეწყვეტის დრო

კონტინენტური სამართლის სისტემაში გაქვითვა მატერიალური სამართლის სფეროს მიეკუთვნება.<sup>6</sup> ხოლო ანგლოამერიკული სისტემის მიხედვით, იგი წმინდა პროცესუალური ხასიათისაა.<sup>7</sup>

აღნიშნული განსხვავების ერთ-ერთ მიზეზად, სამართლებრივ დოქტრინაში მიჩნეულია გაქვითვის, როგორც სამართლებრივი მოვლენის დადგომის ფაქტი.<sup>8</sup> ცივილური სამართლის სისტემებში გაქვითვა იმ მომენტიდან ითვლება დამდგარ მოვლენად, როდესაც წარმოიშვა ფაქტობრივი სიტუაცია, როცა ორი შემხვედრი, ვადამოსული მოთხოვნა ერთმანეთს ფარავს.<sup>9</sup> ხოლო ინგლისური სამართლის მიხედვით, გაქვითვა ხდება სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად.<sup>10</sup> უნიფიცირებული სამართალი, უმეტესწილად, კონტინენტური სამართლის შეხედულებას იზიარებს და მის უფრო თანამედროვე მიდგომას ამკვიდრებს. ამასთან, კონტინენტური სამართლის სივრცეშიც, განსხვავებულია გაქვითვის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათი და მისი წარმოშობის მომენტი.

ქვემოთ შესაბამის ქვეთავებში, გაანალიზებულია გაქვითვის შესახებ არსებული ძირითადი შეხედულებები და განსხვავება მათ შორის.

---

<sup>6</sup> იქვე, 23.

<sup>7</sup> იქვე; *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 455.

<sup>8</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 23.

<sup>9</sup> იქვე, 23-24.

<sup>10</sup> იქვე, 24.

## 1.1 საპროცესო საშუალება

რომის სამართალში გაქვითვა განვითარდა როგორც პროცესუალური ინსტრუმენტი და სწორედ აღნიშნული დაედო საფუძვლად საერთო სამართლის სისტემაში დღეს არსებულ მიდგომას, რომლის შესაბამისად, სასამართლო წყვეტს გაქვითვის საკითხს და იგი საპროცესო მოქმედება.<sup>11</sup> რომის სამართალში, სასამართლო წყვეტდა, შესაძლებელი იყო თუ არა მოთხოვნების გაქვითვა და დაკმაყოფილებული იყო თუ არა შესაბამისი წინაპირობები.<sup>12</sup> ინგლისში და სხვა საერთო სამართლის ქვეყნებში, მათ შორის, აშშ-ში, აღიარებულია გაქვითვის საპროცესო ხასიათი.<sup>13</sup>

საპროცესო თვალსაზრისით, გაქვითვის მიზნად სახელდება სამართლიანობის დაცვა. უსამართლოა მოსარჩელის მოქმედება, როცა იგი შესრულებას ითხოვს მოპასუხისგან, მაშინ, როცა თავად არ ასრულებს ვადამოსულ საპირისპირო ვალდებულებას მის მიმართ.<sup>14</sup> პროცესუალურად, გაქვითვა ნიშნავს მოპასუხის თავდაცვის უფლებას, მოსარჩელის მოთხოვნისგან, სასარჩელო მოთხოვნით განსაზღვრული ვალდებულების შემცირებით, ისე რომ, დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენა არ უწევს.<sup>15</sup>

ინგლისური სამართლის მიხედვით, დღეს გაქვითვა ორ ეტაპად იყოფა. სასამართლო ჯერ ადგენს, მატერიალურ-სამართლებრივად, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ.<sup>16</sup> თუ მოთხოვნის არსებობა დადგინდა, შემდეგ მოწმდება მოპასუხის საპროცესო შესაგებელი საპირისპირო მოთხოვნიდან გამომდინარე და მოსარჩელის მოთხოვნა ან საერთოდ არ დაკმაყოფილდება, ან თანხა შემცირდება იმ

<sup>11</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62 January 2000, 2. იხ. ელექტრონული ბმული: <http://www.unidroit.org/english/documents/2000/study50/s-50-062bis-e.pdf>, ბოლო ვიზიტი: 02/12/2015. ასევე *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 23-24.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 456.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 27.

<sup>16</sup> *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 456.

ფარგლებში, რომლებშიც საპირისპირო მოთხოვნა ფარავს ძირითადს.<sup>17</sup>

როგორც წესი, ინგლისში გაქვითვა დროში უკან, რეტროსპექტულად არ მოქმედებს.<sup>18</sup> ამიტომ, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოპასუხე პასუხს აგებს მოსარჩელის სრულ მოთხოვნაზე, მათ შორის, როგორცაა პირგასამტეხლო ან პროცენტი ვადის გადაცილებისთვის და მის მიერ გაქვითვაზე მითითება არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან.<sup>19</sup>

თუმცა, თანამედროვე ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინგლისური სამართალი ნელ-ნელა იწყებს გაქვითვის, როგორც მატერიალური უფლების აღიარებას.<sup>20</sup> მაგალითისთვის, თანამედროვე ინგლისურ დოქტრინაში მხარს უჭერენ გაქვითვის რეტროსპექტულ მოქმედებას იმ მომენტიდან, როდესაც მხარეებს შორის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ გაქვითვის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.<sup>21</sup>

შესაბამისად, ინგლისში გაქვითვის შესაგებელი საპროცესო საშუალებაა, რომლის დაყენების შემთხვევაში, სასამართლო ამოწმებს გაქვითვის წინაპირობებს და თავად იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნების გაქვითვის თაობაზე, და მხოლოდ ამ გადაწყვეტილების შედეგად წყდება მხარეთა საპირისპირო ვალდებულებები.

## 1.2 მატერიალურ-სამართლებრივი საშუალება

კონტინენტურ ევროპაში, მათ შორის, საქართველოში, გაქვითვა მატერიალური სამართლის შემადგენელია. იგი განსაზღვრავს ერთმანეთის მიმართ მხარეთა უფლებებისა და მოთხოვნათა

---

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 7; *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 24.

<sup>19</sup> იქვე; *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 456-457.

<sup>20</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, p. 27 *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 2.

<sup>21</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 29.

არსებობას და გაქვითვა არის პირის შესაძლებლობა, დაიცვას თავი კრედიტორის მოთხოვნისგან.<sup>22</sup>

თუმცა, კონტინენტურ ევროპაშიც განსხვავდება გაქვითვის, როგორც სამართლებრივი მოვლენის დადგომის წესი, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, პრაქტიკულად იგი არ იძლევა არსებით განსხვავებას.

### 1.2.1 გერმანია – გაქვითვის განხორციელება შეტყობინების გზით

გერმანიაში გაქვითვის შესახებ სამართლის თეორიები განვითარდა რომის სამართლისგან დამოუკიდებლად.<sup>23</sup> კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემოქმედებმა გადაწყვიტეს, რომ გაქვითვის ინსტიტუტისთვის სასამართლოსგან დამოუკიდებელი ძალა მიეცათ და გსკ-ში გაიწერა, რომ ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი გაქვითვის დეკლარირება საკმარისი იქნებოდა გაქვითვის დადგომისთვის.<sup>24</sup> მსგავსი შეხედულება გაიზიარა კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის შვეიცარიამ და ჰოლანდიამ.<sup>25</sup>

შესაბამისად, გსკ-ის მიხედვით, გაქვითვისთვის აუცილებელია მეორე მხარისადმი შეტყობინება გაქვითვის თაობაზე.<sup>26</sup> მატერიალურ-სამართლებრივად, იგი პირის აღმჭურველი უფლებაა და მისი რეალიზაციისთვის აუცილებელია აღნიშნული უფლების მატარებელმა პირმა შეატყობინოს ადრესატს გაქვითვის თაობაზე.<sup>27</sup> შეტყობინება ხორციელდება ცალმხრივი მიღება-სავალდებულო ნების გამოვლენით, სასამართლოში მიმართვისგან დამოუკიდებლად და წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგს შეტყობინების განხორციელების მომენტიდან.<sup>28</sup>

---

<sup>22</sup> *კროკჰოლერ, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. §387-ის შესავალი, ველები 1-2.

<sup>23</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 3.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, 1.

<sup>26</sup> *Wolf, Christian*, Die Prozessaufrechnung – Teil I JA 2008, 673, 675.

<sup>27</sup> *Grüneberg* in Palandt 2007, §388, Rn 1.

<sup>28</sup> *კროკჰოლერ, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §387-ის შესავალი, ველი 2.

### 1.2.1.1 გაქვითვის ორმაგი მნიშვნელობა

გერმანიაში გამოიყენებენ გაქვითვას სასამართლო პროცესამდე, როცა მხარემ გაქვითვის შესახებ პროცესამდე, შეტყობინების გზით განაცხადა, ანდა როცა მოპასუხე პირდაპირ პროცესზე აცხადებს გაქვითვის თაობაზე. ასეთ დროს, გაქვითვას ორმაგი ბუნება აქვს – იგი ერთდროულად არის როგორც მატერიალურსამართლებრივი გარიგება, ასევე, საპროცესო მოქმედება.<sup>29</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მან უნდა დააკმაყოფილოს გაქვითვის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები, და ასევე დაცული უნდა იყოს სასამართლო პროცესზე მხარის მიერ შესაგებლის წარდგენის წესები. მაგალითისთვის, სავალდებულო საადვოკატო დაცვიდან გამომდინარე, მხარის მიერ პირდაპირ პროცესზე გაცხადებული გაქვითვა ნამდვილი ხდება მხოლოდ მისი ადვოკატის მიერ წარდგენის შემდეგ.<sup>30</sup> შესაძლოა პროცესზე გაქვითვა მატერიალურ-სამართლებრივ წინაპირობას აკმაყოფილებდეს, მაგრამ იგი საპროცესო ნორმების დარღვევით განახორციელოს მხარემ სასამართლოში და ამ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ გაქვითვა არ იყო ნამდვილი, გსკ-ის 139-ე პარაგრაფიდან გამომდინარე.<sup>31</sup> გსკ-ის 139-ე პარაგრაფის თანახმად, თუ ბათილია გარიგების ნაწილი, და თუ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ამ ბათილი ნაწილის გარეშე, მაშინ მთლიანად გარიგებაც ბათილია.<sup>32</sup> შესაბამისად, ვინაიდან გაქვითვას პროცესზე დუალისტური სახე აქვს, ორივე, მატერიალურ-სამართლებრივი გარიგებისა და საპროცესო შესაგებლის ნამდვილობა არის გაქვითვის დადგომის აუცილებელი წინაპირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ გაქვითვის გაცხადება არ განხორციელებულა.<sup>33</sup>

<sup>29</sup> *Zoller*, ZPO, Zivilprozessordnung, §33 Rn 8, § 145 Rn 11; *Grüneberg* in Palandt 2007, §388, Rn 2; BGH NJW 57, 591.

<sup>30</sup> *Lorenz, Stephan*, Grundwissen – Zivilrecht: Aufrechnung §§ 387ff. BGB JuS 2008, 952.

<sup>31</sup> *Wolf, Christian*, Die Prozessaufrechnung – Teil 2 JA 2008, 753; *Huber, Michael*, Grundwissen – Zivilprozessrecht: Prozessaufrechnung des Beklagten JuS 2008, 1050, 1051.

<sup>32</sup> გსკ-ის 139-ე მუხლს შეესაბამება სსკ-ის 62-ე მუხლი.

<sup>33</sup> *Leichsenring, Heike*, die Rücknahme der Prozessaufrechnung NJW 2013, 2155, 2159.

### 1.2.1.2 ევენტუალური გაქვითვა

იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულებათა გაქვითვა აღმჭურველი უფლებაა, მისი გამოყენება უპირობოა და დაუშვებელია, მხარემ მისი რეალიზება რაიმე პირობას მიაბას, დაუშვებელია ასევე მისი გამოხმობა.<sup>34</sup> აღნიშნულიდან გამონაკლისია გერმანულ სამართალში არსებული ეგრეთ წოდებული „ევენტუალური გაქვითვა“.<sup>35</sup>

აღნიშნულში იგულისხმება მაგალითისთვის, როდესაც მხარე სასამართლო პროცესზე, მის წინააღმდეგ დაყენებული ძირითადი მოთხოვნის საპირისპიროდ, მიუთითებს, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ქვითავს თავის საპირისპირო მოთხოვნაში, იმ პირობით, რომ ძირითადი მოთხოვნა არსებობს, ნამდვილია და განხორციელებადი.<sup>36</sup> ამ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ძირითადი მოთხოვნა არ არსებობს, მაშინ, გაქვითვის შესახებ მხარის მიერ პროცესზე გაკეთებული განცხადება არ ითვლება ნამდვილად და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.<sup>37</sup> შესაბამისად, გაქვითვის შეტყობინების ნამდვილობა დამოკიდებულია პირობაზე.<sup>38</sup> პირის მიერ გაქვითვის თაობაზე გაცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება სასამართლოს მიერ, თუ ძირითადი მოთხოვნა ნამდვილია და მისი საწინააღმდეგო სხვა შესაგებელი არ არსებობს.<sup>39</sup>

---

<sup>34</sup> Zoller, ZPO, Zivilprozessordnung §145, Rn 18.

<sup>35</sup> Wolf, Christian, die Prozessaufrechnung – Teil 1 JA 2008, 673, 676.

<sup>36</sup> Zoller, ZPO, Zivilprozessordnung §145, Rn 13.

<sup>37</sup> იქვე. დეტალურად მხოლოდ პროცესზე გაცხადებული გაქვითვის გამოხმობის შესაძლებლობის თაობაზე იხ.: Leichsenring, Heike, die Rücknahme der Prozessaufrechnung NJW 2013, 2155, 2159.

<sup>38</sup> Lorenz, Stephan, Grundwissen – Zivilrecht: Aufrechnung §§ 387ff. BGB JuS 2008, 951-952.

<sup>39</sup> Wolf, Christian, Die Prozessaufrechnung – Teil 1 JA 2008, 673, 677.



### 1.2.1.3 სამართლებრივი შედეგი

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალი გაქვითვის ერთი და იმავე სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს.<sup>40</sup> გერმანული სამართლის მიხედვით, გაქვითვის მდგომარეობის დადგომის მომენტიდან წყდება ძირითადი და საპირისპირო მოთხოვნები იმ ფარგლებში, რომლებიც ისინი ერთმანეთს ფარავენ.<sup>41</sup>

თავად გაქვითვის მდგომარეობა კი დგება არა გაქვითვის ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების მომენტიდან, არამედ, საპირისპირო მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.<sup>42</sup> შესაბამისად, კონტინენტური სამართლის ქვეყნების ერთ ნაწილში, გაქვითვას აქვს უკუქმედების, რეტროაქტიური ძალა და ე.წ. *ex tunc* ეფექტი. რაც გულისხმობს, რომ გაქვითვის მდგომარეობის დადგომის მომენტის შემდეგ მომხდარი მოვლენები მხედველობაში აღარ მიიღება, როგორცაა ვადის გადაცილება და ამით გამოწვეული პირგასამტეხლო, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პროცენტი და სხვ.<sup>43</sup> შესაბამისად, გაქვითვა ნამდვილია შეტყობინების მომენტიდან და ამ მომენტში უნდა არსებობდეს გაქვითვის წინაპირობები, მაგრამ იგი მოქმედებს დროში უკან იმ დროიდან, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნების გაქვითვის შესაძლებლობა, ანუ, როდესაც წარმოიშვა საპირისპირო მოთხოვნა.<sup>44</sup>

გაქვითვის რეტროაქტიურ მოქმედებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს ევროპის სამეცნიერო საზოგადოებაში, მიიჩნევა რა, რომ გაქვითვა დროში უკან არ უნდა მოქმედებდეს არა იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნების გაქვითვის შესაძლებლობა, არამედ, როდესაც მხარემ

---

<sup>40</sup> *Reinhard Zimmermann*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 36-37.

<sup>41</sup> *Grüneberg* in Palandt 2007, §389, Rn 1.

<sup>42</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 6-7.

<sup>43</sup> *კროკპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §387, ველი 13; *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 37.

<sup>44</sup> *Grüneberg* in Palandt 2007, §389, Rn 1-2.

განაცხადა მეორე მხარის წინაშე გაქვითვის თაობაზე.<sup>45</sup> ამგვარი მიდგომა დამკვიდრდა უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შვედეთში.<sup>46</sup>

ყველა შემთხვევაში, გაბატონებული მოსაზრებით, გაქვითვა მატერიალური სამართლის ნაწილია და ამავდროულად, მოქმედებს დროში უკან, და არა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, როგორც ეს ინგლისშია. კონტინენტურ ევროპაში სასამართლო მხოლოდ დეკლარირებას, დადასტურებას ახდენს, რომ მხარის მიერ მეორე მხარისადმი შეტყობინებით მოხდა გაქვითვა, ხოლო ინგლისში, სასამართლო ძალით ხდება ამ მოვლენის დადგომა.

### 1.2.2 საფრანგეთი – გაქვითვა (*ipso iure*)

მიუხედავად რომის სამართლის დიდი ზეგავლენისა, სასამართლოს ძალით საპროცესო გაქვითვა არც ფრანგულ სამართალში დამკვიდრდა.<sup>47</sup> ფრანგულ სამართალზე ზემოქმედება რომის სამართალში არსებულმა ერთ-ერთმა შეხედულებამ იქონია.<sup>48</sup> საფრანგეთში გაქვითვა მატერიალურ-სამართლებრივია, მოქმედებს ავტომატურად, კანონის ძალით, და იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.<sup>49</sup> ფრანგული მიდგომა გაზიარებულია იტალიის, ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ.<sup>50</sup>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლის თანახმად, როგორც კი წარმოიშობა ორი მოთხოვნა, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთი გაქვითონ, ორივე მათგანი წყდება კანონის

---

<sup>45</sup> შეად.: *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 38-43. *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 8.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 3.

<sup>48</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 25.

<sup>49</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 3.

<sup>50</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 25, footnote 30.

ძალით (*ipso iure*), მხარეთა მიერ აღნიშნულის გაცხადების თუ ცოდნის მიუხედავად.<sup>51</sup>

გაქვითვის ამგვარი განმარტება სათავეს იუსტინიანეს კოდიფიკაციიდან იღებს.<sup>52</sup> აღნიშნული ნიშნავს, რომ იმ მომენტიდან, როცა მოთხოვნებმა პირველად დაფარეს ერთმანეთი, ისინი ავტომატურად იქვითება კანონის ძალით და არათუ მხარეთა მიერ გაქვითვის გაცხადება, არამედ მათ მიერ ამ ფაქტის ცოდნაც კი არ არის აუცილებელი წინაპირობა.<sup>53</sup> ეს თეორია ემსახურება სამოქალაქო ურთიერთობების გამარტივებას, როცა ორი გადახდის ვალდებულება არსებობს, ისინი კანონის ძალით, ავტომატურად იქვითება.<sup>54</sup>

თუმცა, პროცესუალური თვალსაზრისით, დამკვიდრებული პრაქტიკით, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლის შემოწმება სასამართლოს მიერ *ex officio* არ ხდება.<sup>55</sup> ვინაიდან გაქვითვა მხარის მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელად მიიჩნევა, აუცილებელია, მხარემ თავად მიუთითოს მისი არსებობის თაობაზე. ისევე, როგორც, მაგ.: მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი არ მოწმდება სასამართლოს მიერ, ანალოგიურად, საფრანგეთის სასამართლო არ ამოწმებს, ხომ არ მოხდა მოთხოვნის შეწყვეტა ვალდებულების გაქვითვით.<sup>56</sup> სწორედ ამიტომ, აუცილებელია მოპასუხის მიერ სასამართლოში გაქვითვის ფაქტზე მითითება. ამ მითითების შემდეგ იძენს ძალას საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლი და მოთხოვნები კანონის ძალით მიიჩნევა გაქვითულად იმ მომენტიდან, როდესაც საპირისპირო მოთხოვნა წარმოიშვა.<sup>57</sup>

<sup>51</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 25.

<sup>52</sup> *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 455.

<sup>53</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 25; *Spinosi C. Jauffret*, Set off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 5. *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 455.

<sup>54</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 3. *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 455.

<sup>55</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 5.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 25-26.

შესაბამისად, თუ მოპასუხე სასამართლოში არ განაცხადებს გაქვითვაზე, სასამართლო მას არ ამოწმებს. ხოლო თუ განაცხადებს, მოსამართლე ამოწმებს, დაკმაყოფილებულია თუ არა გაქვითვისთვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნულის მიხედვით, ადგენს, მოხდა თუ არა გაქვითვა.<sup>58</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული და ფრანგული სამართალი ერთმანეთთან ახლოს დგას, ფრანგული *ipso iure* მიდგომის მიხედვით, თუ გაქვითვის რომელიმე წინაპირობა აღარ არსებობს სასამართლოში გაქვითვის ფაქტის გაცხადების მომენტისთვის, სასამართლო მაინც დაადგენს ვალდებულებათა გაქვითვას. რადგან ფრანგული სამართალი გაქვითვას დამდგარ მოვლენად მიიჩნევს საპირისპირო მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.<sup>59</sup> ხოლო გერმანული მიდგომის მიხედვით, იმ შემთხვევაში, მხარის მიერ გაქვითვაზე მითითების დროს ვალდებულებათა გაქვითვის წინაპირობები დაკმაყოფილებული არ არის, მაშინ გაქვითვა არ არის ნამდვილი, რადგან გერმანული სამართალი გაქვითვას წარმოშობილად მიიჩნევს შეტყობინების მომენტიდან და მხოლოდ გაქვითვის სამართლებრივ შედეგს ანიჭებს უკუქმედების ძალას.<sup>60</sup>

### 1.3 უნიფიცირებული სამართლის გადაწყვეტა

DCFR-ი გაქვითვას მატერიალური სამართლის ნაწილად და არა წმინდა საპროცესო ბერკეტად მიიჩნევს.<sup>61</sup> გაქვითვა როგორც გერმანიაში, ხდება ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე მეორე მხარის მიმართ.<sup>62</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე მას პროცესზე განაცხადებს, უნდა შემოწმდეს პროცესუალური თვალსაზრისითაც, დაცულია თუ არა გაქვითვის შესაგებლის დაყენების წესი.<sup>63</sup>

DCFR-ის მიხედვით, გაქვითვა იწვევს ვალდებულებათა შეწყვეტას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ისინი ერთმანეთს

<sup>58</sup> *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 455.

<sup>59</sup> შეად.: *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 36.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> Comment A on DCFR Art. 6:101.

<sup>62</sup> Comment A on DCFR Art. 6:105.

<sup>63</sup> Comment A on DCFR Art. 6:101.

ფარავენ, შეტყობინების მომენტიდან.<sup>64</sup> შესაბამისად, მას არ აქვს რეტრო აქტიური ძალა და მოქმედებს იმ მომენტიდან, როცა გაქვითვის ყველა წინაპირობა, მათ შორის, შეტყობინება მეორე მხარისადმი, სახეზეა.<sup>65</sup> შესაბამისად, პირგასამტეხლოს ან პროცენტის დარიცხვა ორივე მოთხოვნაზე გრძელდება მანამდე, სანამ მხარე განაცხადებს გაქვითვის თაობაზე.<sup>66</sup> შეტყობინების შემდეგ, მათი დარიცხვა წყდება, რადგან ვალდებულებები უკვე შეწყვეტილია.

DCFR-ის მსგავსად, PECL და UNIDROIT-ის პრინციპები ანალოგიურად წყვეტს გაქვითვის საკითხს – იგი მატერიალური სამართლის ნაწილია, ნამდვილია მეორე მხარისათვის შეტყობინების მომენტიდან და სამართლებრივ შედეგსაც სწორედ ამ თარიღიდან წარმოშობს.<sup>67</sup>

UNIDROIT-ის პრინციპების მიხედვით, გაქვითვის შეტყობინების ნამდვილობა, მსგავსად გერმანული მიდგომისა, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული რაიმე პირობაზე.<sup>68</sup> გაქვითვის რეტრო აქტიურობასთან დაკავშირებით, UNIDROIT-ის პრინციპების კომენტარში მითითებულია, რომ შეტყობინების მომენტიდან ვალდებულების შეწყვეტა ორ მნიშვნელოვან გარემოებას უკავშირდება: პირველი, წყდება პროცენტის დარიცხვა; მეორე – შეტყობინების გაგზავნამდე შესრულებული ვალდებულება ჩაითვლება ნამდვილად, ხოლო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ განხორციელებული შესრულება ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ვინაიდან აღარ არსებობს თანხის გადახდის ვალდებულება, მოთხოვნათა გაქვითვის და ვალდებულებათა შეწყვეტის გამო.<sup>69</sup>

თავის მხრივ, CISG (საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ კონვენცია) არ შეიცავს პირდაპირ მოწესრიგებას გაქვითვის თაობაზე. შესაბამისად, არ არის ერთიანი პოზიცია იმის თაობაზე, კონვენცია მოიაზრებს თუ არა გაქვითვის საკითხს თავის თავში, იმ შემთხვევისთვის როდესაც ძირითადი და

<sup>64</sup> DCFR Art. 6:107 Set-off extinguishes the obligations, as far as they are coextensive, as from the time of notice.

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> Articles 13:104 and 13:106 PECL, Article 8.3 and Article 8.5 (3) UNIDROIT Principles 2010.

<sup>68</sup> Comment on Article 8.3, UNIDROIT Principles 2010.

<sup>69</sup> იქვე.

საპირისპირო მოთხოვნები კონვენციის მოქმედების სფეროშია.<sup>70</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპულ სამართლებრივ დოქტრინაში გაბატონებულია პოზიცია, რომ კონვენციამ უნდა მოაწესრიგოს გაქვითვის საკითხი, მის 7.2. მუხლში არსებული ზოგადი დათქმიდან გამომდინარე.<sup>71</sup> ამ პოზიციის მიუხედავად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სასამართლომ რამდენიმე საქმეში გამოიციხა კონვენციის მოქმედება ამგვარ შემთხვევებშიც კი.<sup>72</sup>

## 2. გაქვითვის ფორმა პროცესში – შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი

საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში აღიარებულია, რომ გაქვითვა წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას და მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ გააქარწყლოს სასარჩელო მოთხოვნა, ამით იგი განსხვავდება შეგებებული სარჩელისგან.<sup>73</sup>

შესაბამისად, გაქვითვა მხოლოდ საპროცესო შესაგებელი – თავდაცვის საშუალებაა კრედიტორის მოთხოვნებისაგან.<sup>74</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო გაქვითვის შესაგებლის დაყენების შემდეგ, უკვე ex officio, თავისი მოვალეობიდან გამომდინარე ამოწმებს გაქვითვის წინაპირობების არსებობას, მათ შორის, საპირისპირო მოთხოვნის ნამდვილობასა და განხორციელებადობას.

---

<sup>70</sup> Saenger/Sauthoff, IHR 2005, 189-195, 189.

<sup>71</sup> Saenger/Sauthoff, IHR 2005, 189-195, 190. Förster, Wesentliche Vertragsverletzung und Aufrechnung von Forderungen nach UNKaufrecht, NJW 2015, 830.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> Rodner, James, Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 5; Zoller, ZPO §33 Rn 8, § 145 Rn 11. Grüneberg in Palandt 2007, §388 Rn 2; აღნიშნულს ადასტურებს ასევე ციმერმანი თავის ნაშრომში, სადაც იგი ერთმანეთისგან მიჯნავს შეგებულ სარჩელსა და გაქვითვას, Zimmermann, Reinhard, Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 20-21. გაქვითვას ლიტერატურაში ასევე უწოდებენ არასრულყოფილ შეგებულ სარჩელს შეად.: Wolf, Christian, Die Prozessaufrechnung – Teil 2 JA 2008, 754.

<sup>74</sup> Huber, Michael, Grundwissen – Zivilprozessrecht: Prozessaufrechnung des Beklagten JuS 2008, 1050, 1051.

მიუხედავად აღნიშნულისა, გაქვითვა ძალიან გავს შეგებულ სარჩელს.<sup>75</sup> კერძოდ, ორივე ემსახურება ერთი და იგივე ინსტიტუციურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტური ადმინისტრაცია, რამდენიმე დავის თავიდან აცილების მიზნით.<sup>76</sup> ამასთან, შეგებულ სარჩელის აღძვრისა და გაქვითვის შესახებ შესაგებელში მითითების ზოგადი მიზანი ერთია – მოპასუხის პასუხისმგებლობის შემცირება მოსარჩელის მიმართ.<sup>77</sup>

თუმცა, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც.

- გაქვითვის დროს, განსხვავებით შეგებულ სარჩელისაგან, მოპასუხე გაქვითვას უთითებს არა იმ მიზნით, რომ დააყენოს საპირისპირო მოთხოვნა და დაიკმაყოფილოს იგი, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ იმისთვის, რომ დაიცვას თავი მოსარჩელის მოთხოვნისაგან.<sup>78</sup>
- განსხვავებულია გაქვითვისა და შეგებულ სარჩელის წარდგენის სამართლებრივი წინაპირობები. კონტინენტური სამართლის სისტემაში, გაქვითვის დასაშვებობის წინაპირობები, მაშინაც კი, როდესაც პირველად გაქვითვის შესახებ მხარემ პროცესზე განაცხადა, უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივ, სამოქალაქო კანონმდებლობას.<sup>79</sup> შეგებულ სარჩელი კი უნდა აკმაყოფილებდეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს, როგორცაა, კავშირის არსებობა სასარჩელო მოთხოვნასთან, რომლის არ არსებობის შემთხვევაში, განსხვავებით გაქვითვისაგან, იგი არ მიიღება.<sup>80</sup>
- შეგებულ სარჩელი ზრდის დავის საგნის მოცულობას და ამით, იზრდება საპროცესო ხარჯები, მაშინ, როცა გაქვითვის განცხადება

<sup>75</sup> *Wolf, Christian*, Die Prozessaufrechnung – Teil 1 JA 2008, 673, 675.

<sup>76</sup> *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 453.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 452: “Set off is a shield, counterclaim is a sword”.

<sup>79</sup> *Zoller*, ZPO, Zivilprozessordnung, Geimer, Greger, Herget, Heßler, Lückermann, Stöber, Vollkommer, Feskorn, Lorenz, 29. Neubearbeitete Auflage, Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2012, § 33, Rn 8, § 145, Rn 11. აღნიშნულს ადასტურებს გერმანიის სასამართლო პრაქტიკაც: BGH NJW 81, 1217, 1224.

<sup>80</sup> *Wolf, Christian*, Die Prozessaufrechnung – Teil 1 JA 2008, 673, 675.

არ იწვევს მოთხოვნის გაზრდას.<sup>81</sup> თუმცა, ზოგი საარბიტრაჟო ტრიბუნალი, გაქვითვის შესაგებლის შემთხვევაშიც ზრდის ხარჯებს, თუ გაქვითვის შესწავლა არსებითად გაზრდის მის სამუშაოსა და დატვირთულობას.<sup>82</sup>

- შეგებებული სარჩელი გულისხმობს ორი დამოუკიდებელი პირის დამოუკიდებელ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი არ იქნება წარმატებული, სასამართლო მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას შეგებებულ სარჩელზე. გაქვითვის შესაგებლის დროს კი, თუ მოსარჩელის სარჩელი სხვა მიზეზიდან გამომდინარე, წარუმატებელი იქნება, სასამართლო აღარ მიიღებს გადაწყვეტილებას გაქვითვის ნამდვილობის თაობაზე.<sup>83</sup>
- თუ მოპასუხე დაამტკიცებს შეგებებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნის არსებობას, იმ თანხას, რაც აღემატება მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო მას მიაკუთვნებს. ხოლო თუ მოპასუხე გაქვითვის ნამდვილობას დაადასტურებს, მას არ მიეკუთვნება თანხა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპირისპირო ვალი მეტია ძირითად მოთხოვნაზე.<sup>84</sup> ასეთ შემთხვევებში მხარეს შეუძლია შესაგებლის ნაცვლად, აღძრას შეგებებული სარჩელი, რომ დარჩენილ თანხაზე ჰქონდეს სასამართლო გადაწყვეტილება და შეძლოს იძულებითი აღსრულება.<sup>85</sup>
- გაქვითვის გაცხადება ხანდაზმულობას აჩერებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც საპირისპირო მოთხოვნა ფარავს ძირითად მოთხოვნას. დანარჩენ ნაწილში, ვინაიდან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არ არის დაყენებული, გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დენა.<sup>86</sup>

იმისათვის, რომ გაქვითვა შესაგებლის მეშვეობით მოხდეს, დაცული უნდა იყოს გაქვითვის სამართლებრივი წინაპირობები,

---

<sup>81</sup> *Zoller*, ZPO, Zivilprozessordnung, Geimer, Greger, Herget, Heßler, Lückermann, Stöber, Vollkommer, Feskorn, Lorenz, 29. Neubearbeitete Auflage, Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2012, § 33, Rn 8, § 145, Rn 11.

<sup>82</sup> *Rodner*, *James* Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 6; *Scherer*, *Maxi*, Set Off in International Arbitration, 453.

<sup>83</sup> *Scherer*, *Maxi*, Set Off in International Arbitration, 453.

<sup>84</sup> იქვე, 452.

<sup>85</sup> *Huber*, *Michael*, Grundwissen – Zivilprozessrecht: Prozessaufrechnung des Beklagten, JuS 2008, 1051; *Rodner*, *James*, Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 6.

<sup>86</sup> *Zoller*, ZPO, Zivilprozessordnung §145, Rn 18.



რომლებიც კონტინენტურ თუ საერთო და უნიფიცირებულ სამართალში მეტნაკლებად ერთგვაროვანია.<sup>87</sup> გაქვითვის შესაგებლის გზით მითითებისას, მხარე ადასტურებს, რომ არსებობს გაქვითვის წინაპირობები შესაგებლის წარდგენის მომენტისთვის.<sup>88</sup>

იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ გაქვითვაზე მითითებისას არ არსებობს გაქვითვის სამართლებრივი წინაპირობები, აღნიშნული უკვე არა ჩვეულებრივი შესაგებელი, არამედ შეგებებული სარჩელის საგანია.<sup>89</sup> მაგალითისთვის, თუ გაქვითვის შესახებ მოპასუხემ მხოლოდ ზეპირად, წერილობით შესაგებელში მიუთითებლად განაცხადა, ან განაცხადა მოგვიანებით, შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ.<sup>90</sup>

პრაქტიკაში, მოპასუხე ხშირად იყენებს ორივე ბერკეტს – შესაგებელში აცხადებს გაქვითვას და ამავედროულად, შეგებებული სარჩელსაც აღძრავს.<sup>91</sup> აღნიშნული დაშვებულია გერმანიაშიც, და იყენებენ შემთხვევისთვის, თუ გაქვითვის შესაგებელი რაიმე მიზეზით, ვერ გააქარწყლებს მოსარჩელის მოთხოვნას. (მაგ. გაქვითვის წინაპირობები ვერ კმაყოფილდება, როგორცაა გაქვითვის აკრძალვა კანონით, შეთანხმებით გამორიცხული და სხვ.).<sup>92</sup>

საქართველოში სასამართლო პრაქტიკით, მიჩნეულია, საპირისპირო მოთხოვნის გასაქვითად, მხარემ შეგებებული სარჩელი უნდა აღძრას.<sup>93</sup> შესაბამისად, ქართული მიდგომა განსხვავდება კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნების მიდგომისგან. აღნიშნულის საფუძველად, თბილისის სააპელაციო სასამართლო უთითებს: „იმისათვის, რომ მოპასუხეს სარჩელის

<sup>87</sup> *Rodner, James*, Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 5.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> *Huber, Michael*, Grundwissen – Zivilprozessrecht: Prozessaufrechnung des Beklagten JuS 2008, 1050; *Rodner, James*, Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 6.

<sup>90</sup> *Huber, Michael*, Grundwissen – Zivilprozessrecht: Prozessaufrechnung des Beklagten JuS 2008, 1050.

<sup>91</sup> *Rodner, James* Unilateral setoff and the principles of Unidroit p. 1; *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 454.

<sup>92</sup> *Zoller, ZPO*, Zivilprozessordnung § 145, Rn 11. *Rodner, James* Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 5.

<sup>93</sup> სუსგ: ას-1022-980-2014.

მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად გამოეყენებინა თავისი უფლება, უნდა მოეთხოვა ასეთი გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმითა და წესით შესაბამისი სარჩელის (შეგებებული სარჩელის) წარდგენის გზით. .. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა უფლებამოსილი ემსჯელა მოსარჩელის პასუხისმგებლობაზე პირგასამტეხლოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუ წარდგენილი იქნებოდა შეგებებული სარჩელი კანონით გათვალისწინებული დასაშვებობის პირობების დაცვით. შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში სასამართლო მოკლებული იყო პროცესუალურ შესაძლებლობას დაედგინებინა ვალდებულების არსებობის ფაქტი<sup>94</sup>

შესაბამისად, ქართულ სამართალში, იმ შემთხვევაში, თუ მხარეს აქვს საპირისპირო მოთხოვნა, რომელიც მან გაქვითა ძირითად მოთხოვნაში, ან სასამართლოში აპირებს განაცხადოს გაქვითვის თაობაზე, აღნიშნულის ნამდვილობისთვის აუცილებელია მან აღძრას მიკუთვნებითი შეგებებული სარჩელი და მხოლოდ შემდგომ გაქვითავს მას სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით.

### **3. გაქვითვის წინაპირობები**

მიუხედავად იმისა, რომ გაქვითვის წესი და სამართლებრივი შედეგი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში განსხვავებულია, მისი წინაპირობები ერთმანეთის მსგავსია. ნაშრომის ამ თავში გაანალიზებულია მოთხოვნათა გაქვითვის წინაპირობები ქართული სამართლის მიხედვით და შედარებულია კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებულ კრიტერიუმებთან და დამკვიდრებულ პრაქტიკასთან.

#### **3.1 გაქვითვის შეტყობინება**

სსკ-ის 442-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარის მიმართ შეტყობინებით. ამიტომ, მისი ნამდვილობის წინაპირობაა, შეტყობინება მეორე მხარის მიმართ.

სსკ-ის ნორმების ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ გაქვითვის მიმართ საქართველოში გერმანული მიდგომა იქნა

---

<sup>94</sup> სუსგ: ას-1173-1193-2011; ასევე: ას-1431-1446-2011; ას-761-817-2011.

დანერგილი.<sup>95</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მიხედვით, „ერთმანეთისგან განასხვავებენ მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო სამართლებრივ ნების გამოვლენას. მატერიალურ-სამართლებრივი ნების გამოვლენა ნამდვილი ხდება ადრესატთან მისვლისთანავე, მაშინ, როცა პროცესის დროს ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, დაცულია თუ არა საქმის განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები და პირობები“.<sup>96</sup>

აღნიშნული თვალსაზრისით, ქართულ სამართალში გაქვითვა მატერიალურ ხასიათს ატარებს და იგი ნამდვილია მეორე მხარის მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.<sup>97</sup>

### 3.2 საპირისპირო და ერთგვაროვანი მოთხოვნები

სსკ-ის 442-ე მუხლის 1 ნაწილის დისპოზიცია ადგენს გაქვითვის ორ განზოგადებულ წინაპირობას: ა. ორ პირს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთმოთხოვნები. ბ. მათი შესრულების ვადა უნდა იყოს დამდგარი.

თუმცა, მეორე პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარე ცალმხრივად ახდენს გაქვითვას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თანხმდებიან, გაქვითონ ვადა მოუსვლელი მოთხოვნა, კანონი არ ერევა მათ სახელშეკრულებო თავისუფლებაში. ამავდროულად, სსკ-ს 447-ე მუხლი ადგენს გამონაკლის შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გაქვითვა იმპერატიულად გამოირიცხება.

სსკ-ის 442-ე მუხლის თანახმად, გაქვითვისათვის აუცილებელია მოთხოვნების არსებობა. ძირითადი მოთხოვნის მოვალე უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის კრედიტორი და ძირითადი მოთხოვნის კრედიტორი უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის მოვალე.

<sup>95</sup> *Grüneberg* in Palandt 2007, § 388, Rn 1.

<sup>96</sup> *ჭანტურია, ლადო, ზოიძე, ბესარიონ (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 549.

<sup>97</sup> შეად. *ახვლედიანი, ზურაბ*, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, 1999, 86.

რა იგულისხმება მოთხოვნების არსებობაში, შესაძლებელია დადგინდეს ქართული სასამართლო პრაქტიკისა და შედარებით სამართლის ანალიზის საფუძველზე.

სამართლის სისტემათა უმრავლესობაში, DCFR-ის, PECL-ისა და UNIDROIT-ის თანახმად, გაქვითვისათვის მოთხოვნები უნდა იყოს ერთმანეთის საპირისპირო, ერთგვაროვანი და მათი შესრულების ვადა უნდა იყოს დამდგარი.<sup>98</sup>

გსკ-ის 387-ე მუხლის თანახმად, *თუ ორ პირს ერთმანეთის მიმართ ეკისრება ერთგვაროვანი საგნის მქონე ვალდებულებების შესრულება, მაშინ ყოველ მხარეს შეუძლია გაქვითოს თავისი მოთხოვნა მეორე მხარის მოთხოვნის სანაცვლოდ, როგორც კი მას შეეძლება მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების განხორციელება.*

ფულადი ვალდებულების დროს, უმეტესწილად ყოველთვის სახეზეა ერთგვაროვნება.<sup>99</sup> ერთგვაროვნება არსებითაა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული შესრულებისას – ძირითად და საპირისპირო მოთხოვნას ერთი და იგივე ვალდებულებითი შინაარსი უნდა ჰქონდეს.<sup>100</sup> თუ მოთხოვნები სხვადასხვაა, მაშინ პირს აქვს დაკავების უფლება, გსკ-ის 273-ე ან მე-300 პარაგრაფების შესაბამისად.<sup>101</sup>

გსკ-ის მე-300 პარაგრაფის ანალოგია სსკ-ის 369-ე მუხლი, რომლის თანახმად, *იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.*

<sup>98</sup> Art 8.1. Co 2, UNIDROIT Principles 2010; DCFR Art. 6:102; PECL Art. 13:101; *Rodner, James*, Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 6; *Scherer, Maxi*, Set Off in International Arbitration, 452.

<sup>99</sup> *Feldmann*, die Aufrechnung im BGB und im Steuerrecht DStR 1991, 222; *Lorenz, Stephan*, Grundwissen – Zivilrecht: Aufrechnung, §§ 387ff. BGB JuS 2008, 952.

<sup>100</sup> *კროპპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, §387, ველი 5.

<sup>101</sup> *Lorenz, Stephan*, Grundwissen – Zivilrecht: Aufrechnung, §§ 387ff. BGB JuS 2008, 952.

ანალოგიურია ასევე ნივთის დაკავების უფლება სსკ-ის 500-ე, 556-ე, 776-ე მუხლებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ცხადია, რომ დასახელებული წინაპირობა – გასაქვით მოთხოვნათა ერთგვაროვნება ახასიათებს ქართულ სამართალსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს აქვს არა გაქვითვის, არამედ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის ან ნივთის დაკავების უფლება.

ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ეთანხმება მოთხოვნათა ერთგვაროვნების აუცილებლობის კრიტერიუმს. ამასთან, მიჩნეულია, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისთვის მნიშვნელოვანია, მსგავსი იყოს შესრულების საგანი და არა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი – ისინი შესაძლოა განსხვავებული იყოს.<sup>102</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო ასევე განმარტავს: გაქვითვის, როგორც ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლის დამახასიათებელი თვისებაა, რომ ორი ვალდებულების თანხვედრისას ისინი უნდა იყვნენ ერთგვაროვანი და დრომოსული.<sup>103</sup> შესაბამისად, ზემოთ დასახელებული ნორმების ქართულ დოქტრინასა და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომის ანალიზისას, ნათელია, რომ *ერთგვაროვნების* წინაპირობა გაქვითვას საქართველოშიც ახასიათებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის პირდაპირ გაწერილი სსკ-ში. ასევე ცხადია, რომ ამ წინაპირობის კანონში ასახვის საჭიროება არ არსებობს.

### 3.3 ძირითადი მოთხოვნა შესრულებადი, საპირისპირო – განხორციელებადი

ძირითად სამართლებრივ სისტემებში, ისევე, როგორც გსკ-ის 387-ე პარაგრაფის და უნიფიცირებული სამართლის თანახმად, გაქვითვის წინაპირობაა რომ ძირითადი მოთხოვნა უნდა იყოს შესრულებადი, ხოლო საპირისპირო მოთხოვნა – განხორციელებადი.<sup>104</sup>

<sup>102</sup> *ჰანტურია, ლადო, ზოიძე, ბესარიონ (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 548; ანალოგიურია ასევე გერმანული მიდგომა იხ: *კროპპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, § 387, ველი 5.

<sup>103</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N: 2/6092-11

<sup>104</sup> შეად. გსკ-ის §387; *Rodner, James*, Unilateral Set Off and the Principles of Unidroit, 7; *კროპპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი § 387, ველი 7.

ძირითადი მოთხოვნის არსებობაში იგულისხმება, რომ იგი უნდა იყოს გაქარწყლებული, კრედიტორს უნდა შეეძლოს მისი შესრულების მოთხოვნა.<sup>105</sup>

გსკ-ის მსგავსად, ქართული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა, ასევე მიიჩნევს, რომ გაქვითვის წინაპირობაა ნამდვილი, განხორციელებადი მოთხოვნების არსებობა. საპირისპირო მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის ნამდვილობის წინაპირობებს, რომ მისი განხორციელება შესაძლებელი იყოს – მოთხოვნა რეალური უნდა იყოს, მაგალითად, შესრულების გზით უნდა იყოს გაქარწყლებული.<sup>106</sup>

რაც შეეხება საპირისპირო მოთხოვნის განხორციელებას – აღნიშნული გულისხმობს, რომ მოთხოვნა უნდა იყოს ნამდვილი და შესაგებლისგან თავისუფალი.<sup>107</sup> გსკ-ის 390-ე პარაგრაფი აკონკრეტებს საპირისპირო მოთხოვნის მდგომარეობას – *დაუშვებელია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლის მიმართაც წარდგენილია შესაგებელი*.<sup>108</sup>

გსკ-ის აღნიშნული ნორმის განმარტებისას ლიტერატურაში მითითებულია, რომ შესაგებლისგან თავისუფალ მოთხოვნაში იგულისხმება მოთხოვნის მიმართ მოვალის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლები, როგორცაა მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი ან მოთხოვნის გამაქარწყლებელი შესაგებლები.<sup>109</sup> თუმცა, მასში არ იგულისხმება შესაგებელი საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით.<sup>110</sup>

მაგალითისთვის, ქართული სამართლითაც დაუშვებელია ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვა, რადგან მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი. თუმცა, თუ მოთხოვნის გაქვითვის

---

<sup>105</sup> *კროპპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, § 387, ველი 6.

<sup>106</sup> *ჟანტურია, ლადო, ზოიძე, ბესარიონ (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 548-549.

<sup>107</sup> *კროპპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, § 387, ველი 7.

<sup>108</sup> „*Eine Forderung, der eine Einrede entgegensteht, kann nicht aufgerechnet werden*”. დაწვრილებით იხ: *Feldmann*, die Gleichartigkeit der Forderungen, die Aufrechnung im BGB und im Steuerrecht DStR 1991, 222.

<sup>109</sup> *Lieder, Illhard*, Grenzen der Aufrechnung JA 2010, 769, 771.

<sup>110</sup> იქვე, 772.

შესაძლებლობა მაშინ წარმოიშვა, როცა იგი არ იყო ხანდაზმული, კანონი უშვებს მის გაქვითვასაც.<sup>111</sup>

ლოგიკურია, რომ გაქვითვა გამორიცხულია, თუ საპირისპირო მოთხოვნისადმი მხარეს აქვს ნამდვილი, მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი, რაც უფლებას აძლევს მას, უარი თქვას შესრულებაზე ან ათავისუფლებს მას შესრულების ვალდებულებისგან.

### 3.4 უდავო

თუკი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 390-ე პარაგრაფის თანახმად, საპირისპირო მოთხოვნა შესაგებლისგან თავისუფალი უნდა იყოს, სსკ-ში ანალოგიური ჩანაწერი არ მოიპოვება. თუმცა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მოთხოვნა უნდა იყოს უდავო – თუ მოთხოვნა არის სადავო კრედიტორის მხრიდან ან მის მიმართ პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მესამე პირს, მაშინ შესაძლოა ასეთი მოთხოვნა არ გამოდგეს საპასუხო მოთხოვნის გასაქვითად.<sup>112</sup>

ამგვარივეა სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოთხოვნათა სადავობის შემთხვევაში, გაქვითვა შესაძლებელია დავის გადაწყვეტის შემდგომ.<sup>113</sup>

სადავო მოთხოვნის შემთხვევაში, იმისათვის, რომ მოპასუხემ საქმის განხილვისას სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად გამოიყენოს თავისი უფლება, უნდა მოითხოვოს ასეთი გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმითა და წესით, შესაბამისი სარჩელის (შეგებებული სარჩელის) წარდგენის გზით.<sup>114</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო აცხადებს:

*„იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ვალდებულების*

<sup>111</sup> სსკ-ის 443-ე მუხლი; შეად. გერმანია: *Lieder, Illhardt, Grenzen der Aufrechnung* JA 2010, 769, 771.

<sup>112</sup> ლადო ჭანტურია, *ბესარიონ ზოიძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 548-549.

<sup>113</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: ას-761-817-2011; ას-495-469-2011.

<sup>114</sup> იქვე.

*შესაწყვეტად აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა. კერძოდ, გაქვითვა შესაძლებელია, როცა მხარეებს ერთმანეთის მიმართ აკისრიათ ვალდებულების შესრულება, ე.ი. არსებობს საპასუხო მოთხოვნები. ამასთანავე გაქვითვის მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის ნამდვილობის პირობებს, რათა მისი განხორციელება რეალურად იყოს შესაძლებელი. მოთხოვნა უნდა იყოს უდავო”.*<sup>115</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიხედვით, ერთი მხრივ, მოთხოვნა უნდა იყოს ნამდვილი და მეორე მხრივ, იგი უნდა იყოს უდავო. შესაძლებელია, უზენაესი სასამართლოს მიერ „უდავო“ მოთხოვნასთან გერმანულ სამართალში აღიარებული, შესაგებლისგან თავისუფალი მოთხოვნა გაიგივდეს. გერმანულ სამართალში არსებული „შესაგებლისგან თავისუფალი“ მოთხოვნა, როგორც ზევით აღინიშნა, გულისხმობს, რომ მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი, მის წინააღმდეგ არ უნდა არსებობდეს მეორე მხარის სამართლებრივი შესაგებელი.

თუმცა, ამ წინაპირობის ქართული ინტერპრეტაციის შესაბამისად, საკმარისია მეორე მხარე „შეედავოს“ გაქვითვის მსურველ პირს, რომ არ ეთანხმება გაქვითვას, და გაქვითვის შეტყობინება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს – ანუ ამგვარი მოთხოვნის გაქვითვა იმთავითვე დაუშვებელი იყო.

შესაბამისად, ქართულ სამართალში, მოთხოვნის „უდავობაში“ იგულისხმება ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ მეორე მხარე ფაქტობრივად ეთანხმება გაქვითვას, და არა სამართლებრივი მდგომარეობა, რომ გაქვითვას არ უდგას წინ მეორე მხარის გამართლებული სამართლებრივი შესაგებელი:

*„სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა, დასახელებული უფლება არ ყოფილა აღიარებული მოსარჩელის მიერ და ამდენად, წარმოადგენდა სადავო უფლებას. შესაბამისად, მისი რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლო განხილვის გზით დადასტურებით”.*<sup>116</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს:

*„რაც შეეხება კასატორის აპელირებას სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, აქაც უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც გასაქვით მოთხოვნაზე ვრცელდება ის ძირითადი*

---

<sup>115</sup> სუსგ ას-915-1222-07.

<sup>116</sup> სუსგ ას-1173-1193-2011.



შიშანი, რაც დაკავშირებულია ამ მოთხოვნის უდავო ხასიათთან. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოთხოვნათა სადავოობის შემთხვევაში დაუშვებელია გაქვითვა. შესაბამისად, დავის არსებობისას აღნიშნული ნორმაც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს”.<sup>117</sup>

კრიტერიუმის წარმოშობის შესაძლო წყარო

შესაძლოა, სსკ-ის 348-ე მუხლის გ) ქვეპუნქტის არსებობა იყოს მიზეზი ქართული სასამართლოების განმარტებისა, რომ გასაქვითი მოთხოვნა უნდა იყოს „უდავო“. შესაძლებელია ეს ჩანაწერი გახდა ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ერთი შეხედვით, გერმანულის მსგავსი წინაპირობის საფუძველი. თუმცა, ქართული სასამართლო პრაქტიკა „შესაგებლისგან თავისუფალი მოთხოვნის“ განმარტებისას უფრო შორს მიდის და შესაძლოა, სცდება კანონმდებლის ნებას.

კერძოდ, სსკ-ის 348-ე მუხლის გ) ქვეპუნქტი ამბობს, რომ ბათილია დებულება, რომლითაც ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა).

აღნიშნული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, გაქვითვას ექვემდებარება უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა, და ამ უფლების აკრძალვა არის ბათილი სტანდარტული პირობა.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მუხლის განმარტება ქართულ სამართლებრივ სივრცეში მწირია და სასამართლო პრაქტიკა საერთოდ არ მოიპოვება, მიზანშეწონილია მისი შინაარსის ისტორიული განმარტების მიება შედარებითი სამართლის გამოყენებით.

გერმანულ სამართალში არსებობს ანალოგიური ნორმა. კერძოდ, გსკ-ის 309 პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, ბათილია შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს უდავო ან სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნის გაქვითვას.<sup>118</sup>

---

<sup>117</sup> სუსგ ას-915-1222-07.

<sup>118</sup> *Lieder, Illhardt*, Grenzen der Aufrechnung JA 2010, 769, 770.

მიუხედავად ამ ჩანაწერის არსებობისა, გერმანიაში გამოქვეყნებულია ერთმანეთისგან „უდავო“ და შესაგებლისგან თავისუფალი მოთხოვნები. ამასთან, აღნიშნული მუხლის კომენტარის მიხედვით, დასახელებული ნორმა იცავს პირს იმ შემთხვევებში, როცა მისი საპირისპირო მოთხოვნა უდავო ან მოთხოვნა დადგენილია სასამართლოს მიერ – ასეთ შემთხვევაში გაქვითვის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობით დაუშვებელია. შესაბამისად, გასაქვით მოთხოვნათა წრე არ შემოფარგლება მხოლოდ უდავო ან სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნებით და მათი გაქვითვის აკრძალვის შეთანხმება ხელშეკრულებით შესაძლებელია.

ანალოგიურად, სსკ-ის 348-ე მუხლის ექვეპუნქტით განსაზღვრული წესი არ ადგენს მოთხოვნის გაქვითვის კრიტერიუმს – მის უდავობას, არამედ, ადგენს, რომ დაუშვებელია სტანდარტული პირობით ისეთი მოთხოვნის გაქვითვის აკრძალვა, რომელიც უდავო ან სასამართლოს მიერ არის დადგენილი.

შესაბამისად, სსკ-ის დასახელებულ ნორმას ვერ დაუკავშირდება ამ კრიტერიუმის დამკვიდრება ქართულ სამართალში.

თუმცა, უდავო მოთხოვნის არსებობის წინაპირობა ხსნის, თუ რატომ არის აუცილებელი საქართველოში გაქვითვის რეალიზაციისთვის შეგებებული სარჩელის აღძვრა – ჯერ მოთხოვნის არსებობა უნდა დადასტურდეს სასამართლო გზით, ხოლო შემდეგ გაიქვითოს იგი, როგორც უდავო მოთხოვნა.

მეორე მხრივ, თუ არა გერმანულ დოქტრინას და სსკ-ის 348-ე მუხლს, ქართულ სამართალში არსებული გაქვითვის უდავობის წინაპირობა, შესაძლოა ასევე უკავშირდება ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ მიდგომას, რომლის თანახმად, გაქვითვისთვის აუცილებელია, საპირისპირო მოთხოვნა დამტკიცებული და მისი ოდენობა განსაზღვრული იყოს.

### **3.5 დამტკიცებული და განსაზღვრული საპირისპირო მოთხოვნა**

იმ რისკის შესამცირებლად, რომ მოპასუხე გაქვითვის შესაგებელს დააყენებს ისეთ საპირისპირო მოთხოვნაზე მითითებით, რომელიც ორაზროვანია და მისი არსებობის დასაბუთება არ არის ადვილი და წინასწარ განსაზღვრული, კრედიტორის დაცვის მიზნით,

სხვადასხვა სამართალი გაქვითვის დამატებით წინაპირობას აყენებს.<sup>119</sup>

ხშირად მეორე მხარე საერთოდ უარყოფს ან არ აღიარებს მოთხოვნის არსებობას სრულად. ხოლო თუ მოპასუხე შეძლებს საპირისპირო მოთხოვნის არსებობის და მისი ოდენობის მტკიცებულებით დადასტურებას, მაშინ გაქვითვის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოში მარტივდება.<sup>120</sup> შესაბამისად, გაქვითვის დამატებით წინაპირობად ბევრგან აღიარებულია, რომ საპირისპირო მოთხოვნა უნდა იყოს *liquid, ascertained* – დადასტურებული,<sup>121</sup> ხოლო მოთხოვნის ოდენობა განსაზღვრული.<sup>122</sup>

გერმანიაში უარყოფილია აღნიშნული, როგორც გაქვითვის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობა, ჯერ კიდევ ვინდშიაიდის მიერ.<sup>123</sup> მოთხოვნის არსებობის დამტკიცების და მისი ოდენობის დადგენის საჭიროების გამო სასამართლომ შეიძლება უარი თქვას განიხილოს გაქვითვის საკითხი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეუსაბამოდ გააჭიანურებს სასამართლო დავას.<sup>124</sup> გამონაკლისია, როცა მოთხოვნები ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან მომდინარეობს, ამ დროს, გაქვითვის გათვალისწინება ყოველთვის ხდება.<sup>125</sup>

<sup>119</sup> DCFR Comment A on 6:102.

<sup>120</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62 January 2000, 12.

<sup>121</sup> გამოყენებულია ტერმინები “*ascertained*” და “*liquid*”, რომელთა ზუსტი თარგმანი შესაძლოა იყოს დადასტურებული, დადგენილი, დამტკიცებული, შესაძლოა, ასევე „უდავო“, თუმცა ამ ტერმინის ქართულ სამართალში დამკვიდრებული სხვა გამოყენებიდან გამომდინარე, უმჯობესია „დადასტურებული“, „დადგენილი“, „დამტკიცებული“.

<sup>122</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62 January 2000, 11.

<sup>123</sup> *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 53.

<sup>124</sup> იქვე, 54.

<sup>125</sup> იქვე.

ანალოგიურად, ბევრ ქვეყანაში, იმის შეფასება, მოთხოვნა საკმარისად მტკიცდება თუ არა, მინდობილია სასამართლოსთვის, როგორც ჩვეულებრივ, მტკიცებულებათა გამოკვლევა.<sup>126</sup>

თუმცა ზოგან კანონი ადგენს ფორმალურ წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ივარაუდება, რომ მოთხოვნა და მისი ოდენობა დადასტურებულია – ასეთია, თუ მოთხოვნა დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებით ან იგი მტკიცდება სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაციით.<sup>127</sup> თუმცა, კომერციულ სფეროში მკაცრი ფორმალური წინაპირობების დაწესება არ არის მიჩნეული მიზანშეწონილად.<sup>128</sup>

DCFR-ის კომენტარის მიხედვით, წინაპირობა, რომ საპირისპირო მოთხოვნა უნდა იყოს დადასტურებული, ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და ამით, შეიძლება ისეთ შემთხვევებშიც ეთქვას მხარეს გაქვითვაზე უარი, როცა სამართლებრივად იგი მიზანშეწონილია.<sup>129</sup> აღნიშნულ პოზიციას იზიარებენ პროფესორი *სპინოზი* და *ციმერმანი* თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებში, უნიფიცირებული სამართლის კოდიფიკაციის საუკეთესო გზებზე მსჯელობისას.<sup>130</sup>

შესაბამისად, ზოგ ქვეყანაში მიღებულია შეხედულება, რომ გაქვითვა დაშვებულია, თუ შესაძლებელია საპირისპირო მოთხოვნა მარტივად დადასტურდეს პროცესის მიმდინარეობისას, ან მაგალითისთვის, თუ ცხადია, რომ საპირისპირო მოთხოვნა აღემატება ძირითად მოთხოვნას.<sup>131</sup>

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაქვითვის გათვალისწინება, დავის სირთულიდან გამომდინარე, არ მოხდება, მოპასუხემ თავისი

---

<sup>126</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62 January 2000, 12.

<sup>127</sup> იქვე.

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> DCFR Comment A on 6:103.

<sup>130</sup> *Spinosi C. Jauffret*, Set off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62 January 2000, 11-13; *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 54-56.

<sup>131</sup> DCFR Comment A on 6:103; ამ შეხედულებას იზიარებს ასევე ციმერმანი, შეად.: *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 55.

საპირისპირო მოთხოვნა ცალკე სამართალწარმოების გზით უნდა დაიკმაყოფილოს.<sup>132</sup>

DCFR-ის თანახმად, მოვალეს არ შეუძლია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლის არსებობის ან ოდენობის საკითხი არ არის ცალსახად განსაზღვრული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გაქვითვა არ დააზიანებს კრედიტორის ინტერესებს.<sup>133</sup> თუ მოთხოვნები ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, ივარაუდება, რომ გაქვითვა არ დააზიანებს კრედიტორის ინტერესებს.<sup>134</sup>

საპირისპირო მოთხოვნა თუ ზუსტი და კონკრეტული არაა, მოსამართლე უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, გაითვალისწინოს თუ არა გაქვითვა.<sup>135</sup> ამ დროს მოსამართლემ უნდა გამიჯნოს ორი შემთხვევა: თუ ძირითადი და საპირისპირო ვალდებულებები ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშვა, მაშინ ძირითად შემთხვევაში ორივე მათგანს იხილავს, ხოლო თუ ისინი სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან მომდინარეობს, მაშინ სასამართლო თავად წყვეტს, განიხილოს თუ არა საპირისპირო მოთხოვნა მიმდინარე დავის ფარგლებში.<sup>136</sup>

ანალოგიურად, PECL-ის 13:102 მუხლით, მოვალეს არ შეუძლია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც მის არსებობაში ან მოცულობაში არ არის გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული არ დააზიანებს მეორე მხარის ინტერესებს.<sup>137</sup> ხოლო თუ მხარეთა მოთხოვნები ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან მომდინარეობს, ივარაუდება, რომ მეორე მხარეს ზიანი არ მიადგება.<sup>138</sup>

Unidroit-ის პრინციპების 8.1 (3) მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად არ არის განსაზღვრული მოთხოვნა, მაგრამ იგი იმავე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან მომდინარეობს, საიდანაც ძირითადი მოთხოვნა, მხარეს უფლება

<sup>132</sup> *Zimmermann, Reinhard, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription*, 2004, 55.

<sup>133</sup> DCFR Art. 6:103 (1).

<sup>134</sup> DCFR Art. 6:103 (2).

<sup>135</sup> DCFR Comment A on the Article 6:103.

<sup>136</sup> იქვე.

<sup>137</sup> Article 13:102.

<sup>138</sup> იქვე.

აქვს, განაცხადოს გაქვითვის თაობაზე, მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა საპირისპირო მოთხოვნის ზუსტი ოდენობა.<sup>139</sup> ხოლო თუ პირიქით, მაგალითად ძირითადი მოთხოვნა სახელშეკრულებოა, ხოლო საპირისპირო დელიქტიდან და ზიანის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მხარეს არ შეუძლია გაქვითოს ამგვარი მოთხოვნა.<sup>140</sup>

შესაბამისად, ცხადია, რომ საპირისპირო მოთხოვნის ეს წინაპირობა არ გულისხმობს უტყუარად დადასტურებული, მეორე მხარის მიერ აღიარებული და უდავო მოთხოვნის არსებობას. იგი უკავშირდება მტკიცებულებების არსებობას საპირისპირო მოთხოვნის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, ქართულ სამართალში არსებული მიდგომა, რომ გაქვითვისთვის მოთხოვნა უნდა იყოს „უდავო“, სწორედ ამ წინაპირობის ვიწრო ინტერპრეტაციაა, რომლის თანახმად, მოთხოვნა „უდავო“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადასტურებულია სასამართლო გადაწყვეტილებით.

ერთ-ერთ საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო უთითებს:

*„შპს „ც“ სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სს „...-ს“ მიადგა ზარალი და იგი გამოთქვამს მზადყოფნას, აანაზღაუროს მისი ბრალით მიყენებული დადასტურებული ზარალი, მაგრამ იგი სადავოდ ხდის მთელ რიგ გარემოებებს. მათ შორის იმას, „—, რა ოდენობის ქონებაა გატანილი დასაცავი ობიექტიდან და ა.შ. ასეთ შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით და ასეთი მოთხოვნის გაქვითვა დაუშვებელია. გაქვითვა შესაძლებელია მხოლოდ ასეთი დავის გადაწყვეტის შემდგომ“.*

ამ შემთხვევაში სადავო იყო არა მოთხოვნის არსებობა, არამედ, ოდენობა. შესაბამისად, ქართული სასამართლოსთვის საპირისპირო მოთხოვნის სრული უდავობა აუცილებელი წინაპირობაა.

თუმცა, ქართული მიდგომის გაზიარებამ შესაძლოა აზრი დაუკარგოს გაქვითვის, როგორც მხარის ცალმხრივი მატერიალური უფლების თუ საპროცესო შესაგებლის არსებობას. აღნიშნულის

---

<sup>139</sup> Art 8.3. UNIDROIT Principles 2010.

<sup>140</sup> Illustration 10, Art 8.1. UNIDROIT Principles 2010.

ილუსტრაცია შესაძლებელია პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე.

## 5. კაზუსი ქართული სასამართლო პრაქტიკიდან და დასკვნა

როგორც აღინიშნა, ქართულ და შედარებით სამართალში არსებული მიდგომების საილუსტრაციოდ, საინტერესოა პრაქტიკული მაგალითის განხილვა, რომელიც წარმოაჩენს გაქვითვის მიმართ განსხვავებულ მოწესრიგებას და საუკეთესო გადაწყვეტის გზას. აღნიშნულისთვის ქვემოთ განხილულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი საქმე, გამარტივებული სახით<sup>141</sup>:

მაგალითი:

*გამყიდველსა და მყიდველს შორის დაიდო ხელშეკრულება, უძრავი ქონების აშენებისა და საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. მყიდველს უნდა გადაეხადა ნასყიდობის საფასურის 90% – ხელშეკრულების დადებისთანავე, დარჩენილი 10% – 10000 ლარი, შენობის ექსპლუატაციაში შესვლისა და მისთვის გადაცემის შემდეგ. ვალდებულებების დარღვევისთვის ორივე მხარისთვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ნასყიდობის საფასურის 0,05%-ის ოდენობით. გამყიდველმა მყიდველს უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცა ერთი წლის დაგვიანებით, 2015 წლის 1 იანვარს, როცა იგი ექსპლუატაციაში შევიდა და ამავე დღეს მოსთხოვა დარჩენილი ნასყიდობის საფასურის გადახდა. მყიდველმა 2015 წლის 5 იანვრის წერილობით შეტყობინებაში განაცხადა, რომ შესრულების ვადის 1 წლით გადაცილებისთვის, გამყიდველის მიერ მყიდველისთვის გადასახდელი პირგასამტეხლო შეადგენდა 18250 ლარს, რასაც იგი ქვითავდა მის მიერ გადასახდელ ნასყიდობის საფასურში – 10000 ლარში. ხოლო დარჩენილი თანხის, 8250 ლარის გადახდას ითხოვდა 10 სამუშაო დღის ვადაში. 6 თვის შემდეგ, გამყიდველმა წერილობით მიმართა მყიდველს და შეატყობინა, რომ არ იყო თანახმა გაქვითვაზე, არ აღიარებდა პირგასამტეხლოს მოთხოვნას და კვლავ მოითხოვა დარჩენილი ნასყიდობის ფასის გადახდა,*

<sup>141</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 10 ივლისი 2015, გადაწყვეტილება საქმეზე №2/22222-14.

ხოლო 1 თვის შემდეგ, მან მიმართა სასამართლოს და 10000 ლართან ერთად, გადახდის ვადის გადაცილების გამო, მოითხოვა ასევე 7 თვის პირგასამტეხლოს – 1050 ლარის დაკისრება *მყიდველზე*.

შესაბამისად, *გამყიდველის* მოთხოვნებია: 10000 ლარი და 7 თვის პირგასამტეხლო – 1050 ლარი. ხოლო *მყიდველის* მოთხოვნა: პირგასამტეხლო – 18250 ლარი.

ანალიზი:

იმის მიხედვით, როგორ განიმარტება ვალდებულებათა გაქვითვის სამართლებრივი შინაარსი, კითხვები ასეთია: როგორ უნდა მიუთითოს *მყიდველმა* გაქვითვის შესახებ სასამართლოში? არის თუ არა დაკმაყოფილებული გაქვითვის წინაპირობები? რა მომენტიდან ითვლება ვალდებულებები შეწყვეტილად – ურთიერთთანმხვედრი ვალდებულებების წარმოშობის მომენტიდან, ვალდებულებათა გაქვითვის შესახებ შეტყობინების მომენტიდან, სასამართლოში მიმართვის მომენტიდან თუ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან? აქვს თუ არა გამყიდველს 7 თვის პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება?

1) მოთხოვნათა დაყენების საპროცესო წესი

განსხვავებით ნაშრომში განხილული სხვა სამართლის სისტემებისგან, დამკვიდრებული ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, *მყიდველის* მიერ მხოლოდ შესაგებელში მითითება, რომ ვალდებულებები გაქვითულია, საკმარისი არ იქნება და მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდება. *მყიდველის* მიერ აღიარებითი სარჩელის აღძვრა ვალდებულებების გაქვითვის ფაქტის აღიარების თაობაზე ასევე არ არის სათანადო მოქმედება, რადგან ამისთვის აუცილებელია, ჯერ სასამართლომ საპირისპირო მოთხოვნა „დაადასტუროს“ თავისი გადაწყვეტილებით. შესაბამისად, აუცილებელია, *მყიდველმა* აღძვრას მიკუთვნებითი შეგებებული სარჩელი, მოითხოვოს თანხის დაკისრება და შემდეგ ვალდებულებათა გაქვითვა.



## 2) გაქვითვის სამართლებრივი წინაპირობები

უნიფიცირებული სამართლის გერმანული, ფრანგული თუ ინგლისური მიდგომით, სახეზეა გაქვითვის სამართლებრივი წინაპირობები. ერთადერთი საკითხია, ჩაითვლება თუ არა საპირისპირო მოთხოვნა საკმარისად განსაზღვრულად და დამტკიცებულად, რომ გაქვითვა მოხდეს. ამისათვის, განსხვავებით ქართული მიდგომისგან, არაა აუცილებელი, მეორე მხარე საერთოდ არ ხდიდეს მის არსებობას ან მოცულობას სადავოდ. საკმარისია, რომ მოთხოვნის არსებობის დადასტურება საქმის მნიშვნელოვნად გაჭიანურების გარეშე, შესაძლებელი იყოს ძირითად მოთხოვნასთან ერთად და აღნიშნული ზიანს არ აყენებდეს თავდაპირველ მოსარჩელეს.<sup>142</sup> ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ განსახილველ კაზუსში მხარეთა მოთხოვნები ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან – ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მომდინარეობს, სასამართლო მათ ერთი დავის ფარგლებში განიხილავს, შეგებებული სარჩელის გარეშე, შესაგებელში მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულების შეფასების გზით.<sup>143</sup>

ქართულ სამართალში, ვინაიდან კაზუსის მიხედვით, *გამყიდველი* არ ეთანხმება გაქვითვას და მას სადავოდ ხდის, *მყიდველის* მიერ გაკეთებული შეტყობინება გაქვითვის თაობაზე, სასამართლოს შეფასებით, არ არის ნამდვილი, ვინაიდან მოთხოვნის უდავობა გაქვითვის წინაპირობაა და იგი უნდა არსებობდეს შეტყობინების გაკეთების მომენტისთვის.

## 3) გაქვითვის სამართლებრივი შედეგი

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, სსკ-ის გაქვითვა მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, ქართულ სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკა მის საპროცესო მნიშვნელობას უფრო ადასტურებს. კონკრეტულ შემთხვევაში,

---

<sup>142</sup> ასეთია Unidroit, DCFR, PECL-ის, ასევე გერმანული მიდგომა და თანამედროვე რეკომენდაციები: *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62 January 2000, 11-13; *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 004, 54-56.

<sup>143</sup> იქვე.

მაგალითისთვის, გერმანული მიდგომით, გაქვითვა ნამდვილია *მყიდველის* მიერ შეტყობინების გაკეთების მომენტიდან. ხოლო ძირითადი და საპირისპირო მოთხოვნები შეწყვეტილია რეტროაქტიური მოქმედებიდან გამომდინარე, იმ მომენტში, როცა საპირისპირო მოთხოვნა წარმოიშვა.

აღნიშნული რთული დასადგენია, ვინაიდან საპირისპირო მოთხოვნა არის პირგასამტეხლო ვადის გადაცილებისთვის – რომელიც წარმოშობილია ვადის გადაცილების მომენტიდან, თუმცა ვადის გადაცილება ერთ წელიწადს გრძელდებოდა და როდიდან უნდა აითვალოს საპირისპირო მოთხოვნის წარმოშობა, ასევე განსჯის საკითხია. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ გერმანული მიდგომა და გაქვითვის რეტროაქტიური ეფექტი განუჭვრეტადს ხდის სამართლებრივ შედეგებს.<sup>144</sup>

უნიფიცირებული სამართალი, შეტყობინების მომენტიდან თვლის ვალდებულებებს შეწყვეტილად. შესაბამისად, *მყიდველს* არ დაეკისრება პირგასამტეხლო გადახდის ვადის გადაცილებისთვის.

უნიფიცირებული და კონტინენტური სამართლის მიხედვით სასამართლო დაადგენდა, რომ *გამყიდველის* მოთხოვნა ნასყიდობის საფასურის გადახდაზე შეწყდა საპირისპირო მოთხოვნით და უარს ეტყოდა მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ხოლო იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მყიდველს შეგებებული სარჩელი არ ექნებოდა დაყენებული, მის საპირისპირო მოთხოვნას, იმ ნაწილში, რომელიც აღემატება ძირითადს, არ განიხილავდა, და ამ მოთხოვნის რეალიზებას მყიდველი ცალკე დავის ფარგლებში შეძლებდა.<sup>145</sup>

ინგლისური მიდგომა, გაქვითვის შედეგად მოთხოვნებს შეწყვეტილად გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან დაადგენდა. ამიტომ, *მყიდველი* პასუხს აგებდა ვადის

<sup>144</sup> აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობს ასევე *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 7. *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of a European Law of Set Off and Prescription, 2004, 36-37.

<sup>145</sup> თუმცა, როგორც ნაშრომის მეორე თავშია განხილული, მხარეს ყოველთვის აქვს ალტერნატივა, დააყენოს შეგებებული სარჩელი, თუ მისი მოთხოვნა აღემატება მოსარჩელის მოთხოვნას.

გადაცილებისთვის სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დღემდე.

კაზუსი ქართული სასამართლოს მიერ შემდეგნაირად გადაწყდა:

- *გამყიდველის* სასარგებლოდ *მყიდველს* დაეკისრა ნასყიდობის დარჩენილი საფასურის გადახდა.
- *გამყიდველის* სასარგებლოდ *მყიდველს* დაეკისრა პირგასამტეხლო, *გამყიდველის* მიერ სარჩელის სასამართლოში წარდგენის დღის ვადის ჩათვლით.
- *მყიდველის* სასარგებლოდ *გამყიდველს* დაეკისრა პირგასამტეხლო.
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ნასყიდობის საფასური და *გამყიდველისთვის* დაკისრებული პირგასამტეხლო გაიქვითა.
- სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა *მყიდველის* მიერ გაკეთებულ გაქვითვის შეტყობინებაზე, ჩათვალა რა, რომ „უდავო“ მოთხოვნის გაქვითვა შეტყობინებით იმთავითვე დაუშვებელი იყო.

### შეჯამება

განხილული მაგალითიდან ცხადია, რომ ქართული მიდგომა ნამდვილად არ არის მატერიალურ-სამართლებრივი, იგი უფრო გაქვითვის საპროცესო დატვირთვას აღიარებს. თუმცა, იგი უნიკალურია თავისი არსით და ნაშრომში განხილული არც ერთი სისტემის ზუსტ ანალოგს არ წარმოადგენს. აღნიშნულიდან შესაძლებელია შემდეგი განსხვავებების დანახვა და გამოყოფა:

- ქართულ სამართალში გაქვითვის წინაპირობაა, მისი უდავობა. რაც ცალსახად ახდენს მხარისადმი შეტყობინების გზით გაქვითვის შესაძლებლობის დავიწროებას ისეთ შემთხვევებამდე, როდესაც საპირისპირო მოთხოვნა სასამართლოს მიერ არის დადასტურებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაქვითვა ხდება სასამართლოს მიერ.
- გაქვითვის საპროცესო განხორციელება ხდება საპირისპირო მოთხოვნის შეგებებულ სარჩელში დაყენებით და გაქვითვის მოთხოვნით.
- გაქვითვა ნამდვილია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მომენტიდან. თუმცა, ვადის გადაცილებისთვის, პირგასამტეხლოს დარიცხვა მოპასუხისადმი წყდება სარჩელის შეტანის მომენტიდან.

მიზანშეწონილია, ქართულ სამართალში განისაზღვროს თავად გაქვითვის სამართლებრივი დატვირთვა, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, მას მხოლოდ ვიწრო პროცესუალური დანიშნულება აქვს და მისი პრაქტიკული დატვირთვა ერთადერთი, უკვე სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნების არითმეტიკული ჩათვლაა.

შესაძლოა გაზიარებულ იქნას სასამართლოს პოზიცია, რომ საპირისპირო მოთხოვნის გაქვითვისთვის, თუ იგი უდავოდ დადგენილი არ არის, აუცილებელია შეგებებული სარჩელის წარდგენა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ზღვარი შეგებებულ სარჩელსა და გაქვითვას შორის ძალიან რთული გასავლებაა. ამასთან, გაქვითვაზე მითითება ზრდის სასამართლო გადატვირთულობას. რის გამოც, შესაძლოა მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება შეგებებულ სარჩელზე. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს მხოლოდ თავდაცვა სურს მოსარჩელის მოთხოვნისგან, და საპირისპირო მოთხოვნაზე მითითება შესაგებელია და არა განზრახვა, დაიკმაყოფილოს იძულებითი შესრულების სახით ეს მოთხოვნა, შესაძლოა დამატებით ბაჟის გადახდევინება მაინც გაუმართლებელი იყოს. სხვა მხრივ, იმას, შეგებებული სარჩელისა თუ შესაგებლის ფორმით იქნება გაქვითვაზე მითითება, არსებითი მნიშვნელობა თეორიულად სწორი გადაწყვეტისთვის აქვს. სხვა ქვეყნებში, სადაც მისი დაყენება შესაგებელში ხდება, სასამართლო მაინც სწავლობს გაქვითვის წინაპირობებს, მათ შორის საპირისპირო მოთხოვნის ნამდვილობას.

აუცილებელია, კრიტერიუმის „უდავო“ უფრო ფართო განმარტება და ამისთვის საუკეთესო შესაძლებლობა უნიფიცირებული სამართლის მიდგომის გაზიარებაა, რაც ასახულია DCFR-ის თუ PECL-ის წესებით, როგორცაა დადასტურებული და განსაზღვრადი მოთხოვნის კრიტერიუმი. ამით შესაძლებელი გახდება სსკ-ის 442-ე მუხლის პრაქტიკაში რეალიზება და ვალდებულების შეწყვეტა შეტყობინების გზით, როცა საპირისპირო მოთხოვნის მოცულობა განსაზღვრულია და მისი დადასტურება – შესაძლებელი.

დღეს არსებული მოწესრიგებით, არასამართლიან მდგომარეობაში არის მოვალე, რომელსაც საპირისპირო მოთხოვნა აქვს და ახორციელებს ძირითადი მოთხოვნის გაქვითვას შეტყობინების გზით, ხოლო შემდეგ, ვინაიდან კრედიტორი

შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ამ მოთხოვნას სადავოდ ხდის, მოვალის მიმართ გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა, რადგან ვალდებულება შეწყვეტილად არა შეტყობინების მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან ითვლება, როდესაც სასამართლომ დაადგინა საპირისპირო მოთხოვნის ჭეშმარიტება. შესაბამისად, ასევე გადასახედია გაქვითვის სამართლებრივი შედეგის წარმოშობის მომენტი. მით უფრო, რომ ინგლისშიც კი, სადაც გაქვითვა საპროცესო ინსტრუმენტად განვითარდა, გაქვითვის მოქმედება სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან უკვე მოძველებულ შეხედულებად ითვლება.<sup>146</sup>

---

<sup>146</sup> შეად.: *Spinosi C. Jauffret*, Set Off, position paper, working group for the preparation of Principles of International Commercial Contracts. UNIDROIT 2000 Study L – Doc. 62, 2.